

საარჩევნო სიახლენი

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ“ (ISFED) აქტიურად დაიწყო მზადება 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით, რომლის ერთ-ერთ კომპონენტს შეადგენს საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობების მონიტორინგი. „სამართლიანი არჩევნები“ აღნიშნულ საქმიანობას ახორციელებს ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის - ეუთოს მიერ დაფინანსებული პროექტის „საქართველოს 2007 წელი: საარჩევნო ადმინისტრაციის მონიტორინგი“ ფარგლებში. მონიტორინგი ხელს შეუწყობს საარჩევნო ადმინისტრაციის გამჭვირვალობას და შესაბამისად უზრუნველყოფს მომავალი არჩევნების სამართლიანად და დემოკრატიულად ჩატარებას. „სამართლიანი არჩევნები“ ელექტრონული ბიულეტენის „საარჩევნო სიახლენი“ 2007 წლის პირველ გამოშვებაში წარმოგიდგინებთ მონიტორინგის შედეგებს.

საარჩევნო მოხელეთა სერთიფიცირება

2007 წლის 14-15 სექტემბერს ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) მიერ ჩატარდა საარჩევნო მოხელეთა სერთიფიცირება. ცესკო-ს მიერ გამოცხადებული ღია კონკურსის საფუძველზე სერთიფიცირების მსურველთა საბუთების მიღება დაიწყო 2007 წლის 3 აგვისტოს და დასრულდა 30 აგვისტოს. 13 სექტემბრის მონაცემებით ცენტრალურ საარჩევნო კომისიას განცხადებით მიმართა სერთიფიკატის მიღების სულ 540 მსურველმა.

სერთიფიცირება განხორციელდა ტესტირების მეთოდით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კორპუსის შენობაში. ტესტურ გამოცდაზე გამოცხადდა და სერთიფიცირებაში მონაწილეობა მიიღო 453 კანდიდატმა, ხოლო ტესტირება გადალახა 322 კანდიდატმა.

„სამართლიანი არჩევნების“ 10 აკრედიტირებული დამკვირვებელი ორი დღის განმავლობაში აკვირდებოდა საარჩევნო მოხელეთა სერთიფიცირების პროცესს, რომლის შედეგები „სამართლიანმა არჩევნებმა“ საზოგადოებას გააცნო 2007 წლის 18 სექტემბრის პრესს რელიზში. აღნიშნული განცხადება შეგიძლიათ იხილოთ ორგანიზაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.isfed.ge.

ცესკო-ს წევრისა და თავმჯდომარის კონკურსი

2007 წლის 31 აგვისტოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ გურამ ჩალაგაშვილმა განცხადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ. ამასთან დაკავშირებით, ამავე წლის 10 სექტემბრიდან 14 დღის ვადით, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით საქართველოს საარჩევნო კოდექსის 27-ე მუხლისა და 28-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად გამოცხადდა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და საარჩევნო კომისიის წევრობის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატთა

შესარჩევი ღია კონკურსი. კონკურსის ჩატარების ორგანიზაციული საკითხების კურირება დაევალა პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ შექმნილ სპეციალურ სამდივნოს.

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით ასევე შეიქმნა საკონკურსო კომისია. 2007 წლის 1 ოქტომბერს გაიმართა საკონკურსო კომისიის სხდომა. სხდომამ განიხილა ცესკო-ს თავმჯდომარის ვაკანტურ თანამდებობაზე შემოსული 3 და ცესკო-ს ვაკანტური წევრის თანამდებობაზე შემოსული 9 განცხადება. საკონკურსო კომისიამ, შესაბამისად, კანდიდატურები წარუდგინა საქართველოს პრეზიდენტს, რომელთაგანაც საქართველოს პრეზიდენტმა საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგინა შემდეგი კანდიდატურები:

ცესკო-ს თავმჯდომარის თანამდებობაზე:

1. ლევან თარხნიშვილი;
2. გიორგი გვაჯაია

ცესკო-ს წევრის თანამდებობაზე:

1. დავით ზაალიშვილი;
2. დავით კირთაძე;
3. პაატა მანჯგალაძე

2007 წლის 12 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა ხმათა უმრავლესობით აირჩია ცენტრალური საარჩევნო კომისიის ახალი თავმჯდომარე ლევან თარხნიშვილი და ცესკო-ს ახალი წევრი დავით კირთაძე. 15 ოქტომბერს ცესკო-ს ახალი თავმჯდომარე და წევრი პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ეკა შარაშიძემ წარუდგინა საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. ცესკო-ს ახლადარჩეული თავმჯდომარე და წევრი 15 ოქტომბრიდან შეუდგნენ თანამდებობრივი მოვალეობების შესრულებას.

მონიტორინგის შედეგები იძლევა საშუალებას ითქვას, რომ ცესკო-ს თავმჯდომარისა და წევრის ვაკანტურ თანამდებობებზე ჩატარებული კონკურსი და მასთან დაკავშირებული პროცედურები კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელდა. ამასთან, საარჩევნო კოდექსის 27-ე და 28-ე მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნები შესაბამისი პროცედურების განხორციელების ვადების შესახებ სრულად იქნა დაცული და რაიმე სახის დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

საოლქო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტება

2007 წლის 1 სექტემბრიდან 31 ოქტომბრის ჩათვლით ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ №6 სამგორის, №40 ახალქალაქის, №58 წყალტუბოსა და №10 გლდანის საოლქო საარჩევნო კომისიების ცალკეულ წევრებს შეუწყვიტა უფლებამოსილებები. შესაბამისად, ზემოხსენებულ ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადდა კონკურსები. ამავე პერიოდის განმავლობაში უკვე გამოცხადებული კონკურსების საფუძველზე ცესკო-მ შეავსო ვაკანსიები და სრულყოფილად დააკომპლექტა შემდეგი საოლქო საარჩევნო კომისიები. კერძოდ, 14 სექტემბერს ცესკო-ში გამართულ სხდომაზე

შეივსო №6 სამგორის, №49 თერჯოლისა და №33 ქარელის საოლქო საარჩევნო კომისიები; 8 ოქტომბერს სხდომაზე შეივსო №19 თიანეთის, №23 ბოლნისის, №24 დმანისის, №40 ახალქალაქის, №58 წყალტუბოს, №63 აბაშისა და №83 ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისიები, ხოლო 22 ოქტომბერს შეივსო №10 გლდანის საოლქო საარჩევნო კომისიის 2 წევრის ვაკანტური თანამდებობა.

სპეციალური ჯგუფების დაკომპლექტება

მომავალი 2008 წლის არჩევნების სრულყოფილად და სამართლიანად ჩატარების თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი ამომრჩეველთა ერთიანი სიების დახვეწაა, რასაც შესაბამისად განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ცენტრალურ საარჩევნო კომისიის საქმიანობაში. ამომრჩეველთა ერთიანი სიების დახვეწისა და სრულყოფის მიზნით გადაწყდა სპეციალური ჯგუფების შექმნა, რომლებიც კარდაკარ შემოვლის პრინციპით დააზუსტებდნენ ამომრჩეველთა სიებს მთელი საქართველოს მასშტაბით, 75 საარჩევნო ოლქში.

ყველა საოლქო საარჩევნო კომისიამ 2007 წლის 17 სექტემბრიდან - 24 სექტემბრამდე მიიღო საბუთები სპეციალური ჯგუფების დაკომპლექტების მიზნით, მოგვიანებით კი უზრუნველყო შესარჩევი კონკურსების ორგანიზება. 29 სექტემბერს საარჩევნო ადმინისტრაციამ დაასრულა სპეც. ჯგუფების წევრთა შერჩევის პროცესი. სულ შეიქმნა 3000 სპეც.ჯგუფი.

„სამართლიანი არჩევნები“ დააკვირდა სპეც. ჯგუფების როგორც შერჩევის, ასევე ამ ჯგუფების მიერ კარდაკარ სიების გადამოწმების პროცესს. მონიტორინგის შედეგებით შეიძლება ითქვას, რომ წევრთა ის რაოდენობა, რაც განსაზღვრული იყო თითოეული სპეც.ჯგუფისათვის, ზოგ შემთხვევაში რეალურად არ დაფიქსირდა. თითოეული ჯგუფის შემადგენლობაში უნდა ყოფილიყო მაქსიმუმ 9 წევრი, რომელშიც ცესკო-ს წარმომადგენლების გარდა შევიდოდნენ 3 პოლიტიკური პარტიის ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატების, პოლიტიკური გაერთიანება „მრეწველობა გადაარჩენეს საქართველოს“ და საქართველოს ლეიბორისტული პარტიის ორ-ორი წარმომადგენელი. თუმცა აღსანიშნავია, რომ სპეც. ჯგუფი უფლებამოსილი იყო განეხორციელებინა კანონით დაკისრებული მოვალეობები, თუ კი მის შემადგენლობაში იქნებოდა 5 წევრი მაინც. ვინაიდან მემარჯვენეებმა და ლეიბორისტებმა არ გამოყვეს შესაბამისი რაოდენობის წევრები, ზოგიერთ რაიონში სპეც. ჯგუფები ვერ დაკომპლექტდა სასურველი 9 წევრით.

სპეც. ჯგუფების მუშაობის მონიტორინგის შედეგები

ცესკო-ს მიერ შემუშავდა სპეციალური ინსტრუქცია, რომლითაც სპეც.ჯგუფის წევრებს უნდა ეხელმძღვანელათ სიების გადამოწმების პროცესში. თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ეს ინსტრუქცია არ გადაეცა სპეც. ჯგუფის ყველა წევრს. ასევე საინტერესოა სპეც. ჯგუფებისა და მათი თავმჯდომარეების დატრენინგების პროცესი. ტრენინგები „კარდაკარის“ მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით არ ჩაუტარდა ყველა თავმჯდომარეს, შესაბამისად ისინი არ იყვნენ ინფორმირებული კარდაკარ სიების გადამოწმებს ყველა დეტალზე. აქედან გამომდინარე ცხადია, რომ თავმჯდომარეებმა

ვერ ჩაუტარეს შესაბამისი ტრენინგები სპეც. ჯგუფების წევრებს. ანუ შეიძლება ითქვას, რომ ქვედა დონეებთან ინფორმაციის მიწოდების პროცესში, ბევრი მნიშვნელოვანი დეტალი დაიკარგა. ყოველივე ამან გამოიწვია ხარვეზები სპეც. ჯგუფების მუშაობაში, საბოლოოდ კი - სრულყოფილი სიების შექმნაში.

ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ჯგუფის ყველა წევრი არ იყო უზრუნველყოფილი ამომრჩეველთა სიებით. ისინი დამატებებსა და შესწორებებს მხოლოდ ჩანაწერების სახით აკეთებდნენ, რაც სავარაუდოა რომ, კიდევ უფრო მეტ უზუსტობებს შეიტანს ამომრჩეველთა ერთიან სიებში.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ამომრჩეველთა მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს მასშტაბით გადამოწმებულია, თუმცა არსებობს საკმაო რაოდენობის უზუსტობანი, რაც ხელს შეუშლის არჩევნების ეფექტურად განხორციელებას.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საქმიანობის მონიტორინგის შედეგები

ცესკო შედგება 8 სამსახურისგან. ესენია: საოქმო-სარეგისტრაციო (კანცელარია), იურიდიული, პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის, საორგანიზაციო, ეკონომიკური, სახელმწიფო შესყიდვებისა და სამეურნეო, ადამიანის რესურსების მართვისა და განვითარების (კადრების) და ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ქსელების სამსახური.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „სამართლიანმა არჩევნებმა“ განახორციელა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საქმიანობის მონიტორინგი სხვადასხვა მიმართულებით. წარმოგიდგინთ მონიტორინგის შედეგებს თემატიკების მიხედვით:

გადაწყვეტილებების მიღების პროცესი

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში გამჭვირვალეა. თუმცა, აქვე დავძენდით, რომ ცესკო-ს წევრების გარდა, უშუალოდ სამსახურების მიერ არ ხდება რაიმე სახის გადაწყვეტილებების მიღება.

ცესკო-ს სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებები დელეგირდება საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე კონკრეტულ სამსახურებზე. სამსახურის თანამშრომლები საქმიანობის შესრულებაზე პასუხისმგებელნი არიან ამავე სამსახურის უფროსის წინაშე, რომელიც თავის მხრივ ანგარიშვალდებულია ცესკო-ს თავმჯდომარის, მდივნის, ხოლო რიგ შემთხვევებში თავმჯდომარის მოადგილის წინაშე.

შიდა და გარე კომუნიკაცია

ცესკო-ს სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებები დაუყოვნებლივ ეცნობებათ ცესკო-ს აპარატის თანამშრომლებსა და ქვედა დონის საარჩევნო ადმინისტრაციას. ეს საქმიანობა საორგანიზაციო სამსახურის ერთ-ერთ უმთავრეს მოვალეობას შეადგენს.

უნდა აღინიშნოს, რომ ცესკო-ს შიდა კომუნიკაციაც დახვეწილი და სრულყოფილია. თუმცა, თუ ცესკო-ში შიდა ინფორმაციის გაცვლისათვის გამოიყენება შიდა ქსელი ე.წ. „ინტრანეტი“, ქვედა დონის საარჩევნო ადმინისტრაციასთან ინფორმაციის მიწოდება ძირითადად ინტერნეტით, ხშირ შემთხვევაში კი ტელეფონითა და ფაქსით ხორციელდება. ამასთან აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი საოლქო საარჩევნო კომისია არ არის უზრუნველყოფილი სრულყოფილი ინტერნეტით, რაც გარკვეულწილად აფერხებს ინფორმაციის ორმხრივ გაცვლას.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის გარე კომუნიკაცია პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის კომპეტენციაა. სამსახური შედგება 6 წევრისაგან და მათი მოვალეობებია ბრიფინგების, პრესკონფერენციებისა და შეხვედრების ორგანიზება / უზრუნველყოფა, პრესრელიზებისა და მედია განცხადებების მომზადება, ცესკო-ში მიღებული გადაწყვეტილებების გავრცელება სხვადასხვა საშუალებებით, ვებ-გვერდის განახლება და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ ცესკო-ს გარე კომუნიკაციები 2007 წლის ოქტომბრის თვეში წინა პერიოდთან შედარებით გაუმჯობესდა. კონკრეტულად, ცესკო-ში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით ინფორმაცია შედარებით დროულად მიეწოდება საზოგადოებას, სისტემატურად ხდება საინფორმაციო ბიულეტენების შედგენა და ინტერნეტით გავრცელება. ასევე, სისტემატურად ხდება ვებ-გვერდის განახლება, სადაც თავსდება ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობების შესახებ. პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის საქმიანობის გაუმჯობესების შედეგია ისიც, რომ ცესკო-ს სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებები დროულად მიეწოდება საზოგადოებას და ვებ-გვერდის მეშვეობითაც ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, მიუხედავად იმისა, რომ პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური საკმაოდ დროულად ავრცელებს ბიულეტენებს საარჩევნო ადმინისტრაციაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, ეს ბიულეტენები ინფორმაციული თვალსაზრისით არ არის დატვირთული. ასევე პრობლემატურია ვებ-გვერდის ორენოვნად განახლების საკითხი. სასურველია, ვებ-გვერდის სისტემატური განახლება ხდებოდეს ერთდროულად როგორც ქართულად, ასევე ინგლისურად. ასევე სასურველია, რომ ინგლისური ვერსია შეესაბამებოდეს ქართულს შინაარსობრივად.

ადამიანური რესურსები

აღსანიშნავია, რომ ყველაზე დიდი პრობლემა ცესკო-ში ადამიანური რესურსების მართვის კუთხით ფიქსირდება. სამწუხაროდ, ცენტრალურ საარჩევნო კომისიის აპარატის თანამშრომლებს დღესაც არ აქვთ გაწერილი თანამდებობრივი პასუხისმგებლობები და უფლება-მოვალეობები. არ არსებობს ადამიანური რესურსების მართვისა და მათი მოქმედების სახელმძღვანელო პრინციპები და წესები, რომელიც თანამშრომლის ქცევას დაარეგულირებდა. ნიშანდობლივია ისიც, რომ არ ხდება თანამშრომელთა საქმიანობის შეფასება არანაირი პერიოდულობით, შესაბამისად არ არის შემუშავებული სპეციალური შეფასების კრიტერიუმები და თანამშრომლის შეფასების ფორმები. მიუხედავად იმისა, რომ ცესკო-ს თანამშრომლები საკმაოდ კვალიფიციურები არიან, მაინც აუცილებელია მათი დატრენინგება

საკანონმდებლო თუ სხვა სახის მნიშვნელოვან სიახლეებთან დაკავშირებით, რაც ჯერჯერობით არ ხდება.

ანგარიშგება

ნიშანდობლივია, რომ ცესკო-ში ამ ეტაპამდე არ ხორციელდებოდა თანამშრომელთა რეგულარული ერთიანი შეკრებები და სხდომები მიმდინარე საქმიანობების შესახებ ინფორმაციის გაცვლის, განსახორციელებელი საქმიანობების ერთობლივად განხილვისა და დაგეგმვის მიზნით. ამასთან, თანამშრომელთა მიერ განხორციელებული საქმიანობების ანგარიშგებისათვის არ არსებობს განსაზღვრული ვადები და ანგარიშგების ფორმები. ცესკო-ში თანამშრომელთა მიერ ანგარიშგება ხორციელდება მხოლოდ ზეპირად და სპონტანურ ვადებში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მონიტორინგის განხორციელების პერიოდში ცესკო ძირითადად დაკავებული იყო ამომრჩეველთა ერთიანი სიის სრულყოფითა და განახლებით. ამდენად, აპარატის ყველა სამსახურის ძირითადი საქმიანობა შინაარსობრივად სიებში ამომრჩეველთა მონაცემების კარკადარ გადამოწმებას უკავშირდებოდა. აღსანიშნავია, რომ „სამართლიანი არჩევნების“ შენიშვნების ნაწილი ცესკო-სთვის ცნობილია და უკვე დაიწყო შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად.